

# სოფელი, რომელიც შესაძლოა ჩაიძიროს (ფოტო/ვიდეო)

[kutaipost.ge/ka/component/content/article/34-2019-05-07-07-14-48/16222--ra-tsuthshi-daingreva-ar-](http://kutaipost.ge/ka/component/content/article/34-2019-05-07-07-14-48/16222--ra-tsuthshi-daingreva-ar-)



13:49 / 24.11.2019

„ოქროს კომპებს აგიშენებთო გვპირდებოდნენ, როცა ჭიათურაში მარგანეცის მოპოვება დაიწყო“, - იხსენებენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრეთის მცხოვრებლები.

ოქროს კომპები ვერა, მაგრამ ჭიათურაში მარგანეცის მოპოვებითი სამუშაოების შედეგად ხალხს გაუჩნდა დაბზარეული სახლები, შუაზე გაყოფილი ხეები, შეცვლილი გზები, მცოცავი სასაფლაოები - ეს არასრული ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რომელიც ადგილობრივებს აწუხებს.

შუქრეთში 290 ოჯახი ცხოვრობს. ისინი, ვინც აქ გაიზარდნენ, თავიანთი სოფლის გზის ცნობა უჭირთ. შეიცვალა საკარმიდამო ნაკვეთებიც. ხალხი იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლები. ვინც დარჩა, დახმარებას ითხოვს.

79 წლის ლიანა ნეფარიძეს მეუღლესთან ერთად ამ ნახევრად დანგრეულ სახლში უწევს ცხოვრება.



ღამით დაძინების ეშინიათ. არ იციან როდის ჩამოენგრევათ სახლი თავზე. მეორე სართულზე წლებია ვერ ადიან. ყველა ნივთი პირველ სართულზე აქვთ ჩამოტანილი, რადგან გევით ასვლა სიცოცხლისთვის საშიშია.

„ორი მოხუცი ვცხოვრობთ ასეთ დანგრეულ სახლში. რა წუთში დაინგრევა არ ვიცით და მუდმივ შიშში გვინევს ყოფნა. სად წავიდეთ? წასასვლელი არსად გვაქვს“, - ამბობს ლიანა ნეფარიძე.



Watch Video At: <https://youtu.be/xn01d8YTQ5U>

ცოცხლების გარდა პრობლემა შეეხოთ მიცვალებულებსაც. მცოცავი მიწის გამო, ადგილობრივებმა, გარდაცვლილი ნათესავები და ოჯახის წევრები სხვაგან გადაასვენეს. ინგრევა ახალაშენებული ეკლესიაც.



Watch Video At: <https://youtu.be/0T-1IshB1pU>

სოფელში ვერ ნახავთ ბავშვებსა და ახალგაზრდებს. შექმნილი ვითარების გამო, მამაკაცებს ბავშვები და მეუღლეები სხვადასხვა ქალაქში ჰყავთ გახიზნული და იქ ქირით აცხოვრებენ.



Watch Video At: <https://youtu.be/bk8Iz4yGnM0>

პრობლემის მიზეზად მოსახლეობა მარგანეცის მოპოვებით სამუშაოებს ასახელებს, რომელიც შუქრუთში სამი წელია რაც განახლდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ სოფელში მადნის მოპოვება საბჭოთა პერიოდში დაიწყო, თუმცა, პროცესი დასახლებული პუნქტისთვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდა და მალევე შეწყვიტეს.

„რადაც რაოდენობა მარგანეცი რომ დატოვებს კომუნისტებმა, იმას ეზიდებიან ახლა ესენი. კომპანია გვეუბნება არ ვანარმოებთ სამუშაოებსო, არადა, ყველას გვესმის აფეთქებების ხმა მიწიდან“, - ამბობს ბექა ნეფარიძე.

სწორედ ამ მიზეზით ჰქონდათ პიკეტირებული კვირაზე მეტხანს შუქრუთის მცხოვრებლებს „ჯორჯიან მანგანუმის“ მფლობელობაში არსებული მაღაროების შესასვლელი. მოსახლეობა ბარალის კომპენსაციას ითხოვდა. მათ აქციები მას შემდეგ შეწყვიტეს, რაც კომპანია სახლების აღწერას და კომპენსაციის გაცემას დაჰპირდა. შუქრუთელები არ არიან დარწმუნებილი, რომ კომპანია დანაპირებს შეასრულებს და ამბობენ, რომ თუ „ჯორჯიან მანგანუმმა“ ისინი კვლავ მოატყუა, აქციებს გააგრძელებენ.

„ჯორჯიან მანგანუმში“ უარყოფენ ადგილობრივების ბრალდებას შუქრუთში მიწის ქვეშ მოპოვებითი სამუშაოების მიმდინარეობის თაობაზე და ამბობენ, რომ სახლებზე გაჩენილი ბზარები და შუაზე გაპოხილი მიწა კავშირში ვერ იქნება მათ მიერ წარმოებულ სამუშაოებთან. კომპანიაში სახლების დაზიანების შესაძლო მიზეზად 90-იან წლებში მომხდარ მიწისძვრასაც არ გამოორიცხავენ, რასაც ადგილობრივები არ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ მათ სახლებზე ბზარებმა ბოლო სამი წელია რაც იმატა.

კომპანიის თქმით, პრობლემის გამომწვევ მიზეზებს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი შპს „საინჟინრო კვლევების ცენტრი იკვლევს“, რომლის შუალედურ დასკვნას უახლოეს მომავალში ელოდებიან.

მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი, ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ რადგან მარგანეცის მოპოვების ლიცენზია „ჯორჯიან მანგანუმს“ აქვს ნაყიდი, სწორედ ის არის ვალდებული სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ დაზიანებაზე პასუხისმგებლობა აიღოს.

„კომპანია ვალდებულია მაღაროები ადამიანებისთვის უსაფრთხოდ შეინახოს. რაც შეეხება იმას, ეს დაზიანებები კომუნისტების დროინდელია თუ მიწისძვრის, რომელიც მე ბოლო წლებში არ მახსოვს და ფაქტია, რომ დაზიანებები მიმდინარეა, აუცილებელია ეს საკითხი არა „ჯორჯიან მანგანუმის“ მიერ დაქირავებულმა კერძო კომპანიამ, არამედ სახელმწიფომ გამოიძიოს“, - ამბობს ნინო გუჯარაიძე.

იმავეს ამბობს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) სოციალური პროგრამების დირექტორი, კოტე ერისთავი. მისი თქმით, მსგავსი კვლევები სახელმწიფოს მიერ შექმნილმა კომისიამ უნდა ჩაატაროს და არა "ჯორჯიან მანგანუმის" მიერ დაქირავებულმა კომპანიამ, რადგან კერძო შპს-ს ლოგიკურია არ სურს, რომ მისი ბრალეულობა გამოიკვეთოს. დასკვნის შესაბამისად უნდა გადაწყდეს

კომპენსაციის გაცემის საკითხიც.

„თუ ამას იწვევს მაღარო, ხალხმა უნდა მიიღოს კომპენსაცია, რადგან მათ წარმოუდგენელ სტრესში უწევთ ცხოვრება“, - ამბობს კოტე ერისთავი.

ჩაერთვება თუ არა სახელმწიფო ამ საკითხში და ჩაატარებს თუ არა კვლევას, ჯერჯერობით უცნობია. ქუთაისიპოსტმა ამ კითხვებით წიაღის ეროვნულ სააგენტოსა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართა, თუმცა, არც ერთ უწყებას პასუხი არ აქვს და დუმილს ამჟობინებს.

სოფლის რწმუნებული, პაატა ტყემალაძე აღნიშნავს, რომ შუქრუთში შახტური წესით მარგანეცის მოპოვება, დაახლოებით, სამი წელი დაიწყო, რაც ემთხვევა მოსახლეობის ნათქვამს.

„ფაქტია, რომ დაზიანებულია სახლები. რაც შეეხება კომპენსაციის გაცემა-არ გაცემას, კომუნისტების დროსაც კი არ ექნება ყველა ოჯახს ეს თანხა მიღებული და მითუმეტეს ახლა იმის ზუსტად თქმა, ვის ეკუთვნის და ვის არა, ძნელია. საბჭოთა პერიოდის შემდეგ ბევრი ახალი სახლი აშენდა და იმის დადგენას ვინ იმსახურებს კომპენსაციას კვლევა სჭირდება“, - ამბობს პაატა ტყემალაძე.

ადგილობრივები ამბობენ, რომ სანამ კომპანია და სახელმწიფო მიზღვების ძიებითაა დაკავებული, ყოველდღიურ საფრთხეში უწევთ ცხოვრება. ისინი სახლების ჩამონგრევასა და ფეხქვეშ მიწის გამოცლას ყოველ წუთს ელოდებიან.